

სს „არკინა-ბელტონი“ (შემდგომში - „გამქირავებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ფრიდონ მჭედლიძის სახით, ერთი მხრივ და შპს „მაგთიკომი“ (შემდგომში - „დამქირავებელი“) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მოადგილის გია კოშორიძის სახით, მეორეს მხრივ, მოქმედებენ რა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

1. ზოგადი პირობები

- 1.1 გამქირავებელი წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ქართი გადასცემს დამქირავებელს ქ. რუსთავეში, მარის არხის III დასახლების ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი 020702598) მდებარე №1 შენობის სახურავზე 1 კვმ ფართის სადაც დამქირავებელი განათავსებს GSM სისტემის ანტენებს, და №1 შენობის ეზოში 100 კვმ ფართის საგენერატორო და სააპარატურო შედგენების განსათავსებლად.
- 1.2 სააპარატურო ოთახისა და დამონტაჟებული აპარატურის მუშაობის უზრუნველსაყოფად დამქირავებელი მათ შორის გაიყვანს კაბელს მხარეთა შორის შეთანხმებული მარშრუტის მიხედვით.
- 1.3 გამქირავებელი ნებას რთავს დამქირავებელს, გამქირავებლის სატრანსფორმატოროდან გაიყვანოს ელ-კაბელი სააპარატურო ოთახში ელ-ენერგიის მიხედვად.
- 1.4 გამქირავებლის მიერ ელ-ენერგიის მიწოდების შემთხვევაში დამქირავებელი გამოყენებული ელ-ენერგიის ღირებულებას იხდის დამონტაჟებული ელ-მრიცხველის ჩვენების საფუძველზე საქართველოში არსებული ტარიფის მიხედვით.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 2.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 5(ხუთი) წლის განმავლობაში. დამქირავებელს უნარჩუნდება ხელშეკრულების გაგრძელების ან განახლების უპირატესი უფლება. 5(ხუთი) წლის შემდეგ, თუკი მხარეები წინააღმდეგი არ იქნებიან ხელშეკრულება გაგრძელდება ავტომატურად, ხოლო თუკი გამქირავებელი მოითხოვს ხელშეკრულების დარღვევას, დამქირავებელი ვალდებულია შენობა დაეკლოს 1(ერთი) წლის განმავლობაში, დამქირავებლის ხარჯით;
- 2.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლი ძალაში შედის საბაზო სადგურის ექსპლუატაციაში გაშვების დღიდან, რასაც მხარეები აღასტურებენ წერილობით.

3. გარანტიები

- 3.1 გამქირავებელი იძლევა გარანტიას, რომ იგი აღჭურვილია სათანადო უფლებამოსილებით დადოს წინამდებარე ხელშეკრულება და იკისროს მისი პირობების შესრულება;
- 3.2 გამქირავებელი აძლევს დამქირავებელს გარანტიას, რომ გამქირავებელს ან ნებისმიერ სხვა პოტენციურ დამქირავებელს არ ექნება გამქირავებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობა ამ ხელშეკრულებით (და მოქმედების ვადის გაგრძელებისას) დაღვენილ პერიოდში.
- 3.3 დამქირავებელი იძლევა გარანტიას, რომ მისი საქმიანობით რაიმე ზიანი არ მიადგება გამქირავებელს.

4. დამქირავებლის უფლება-მოვალეობანი

- 4.1 დამქირავებელს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეცვალოს დამონტაჟებული აპარატურის სახეები და რაოდენობა.
- 4.2 დამქირავებელს შეუძლია გამქირავებელთან შეთანხმებით, დამქირავებელ ფართზე მოახდინოს უძრავი ქონების რეკონსტრუქცია და ჩაატაროს სამშენებლო სამუშაოები.

- 4.3 დამქირავებელი შეინარჩუნებს დაქირავებული უძრავი ქონების მდგომარეობას ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში. გარდა სტიქიური უბედურებით გამოწვეული შემთხვევებისა.
- 4.4 დამქირავებელი ვალდებულია დაიცვას ყველა საყოფაცხოვრებო და ხანძარსაწინააღმდეგო წესი.
- 4.5 დამქირავებელი ვალდებულია უზრუნველყოს დამქირავებლის წარმომადგენელთა შესვლა მის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე დამქირავებლის წარმომადგენლების თანხლებით, უძრავი ქონების დათვალიერების მიზნით, წინასწარ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და არასამუშაო საათებში, აგრეთვე ავარიულ შემთხვევაში ნებისმიერ დროს.
- 4.6 დამქირავებელი ვალდებულია გადაიხადოს ქირა ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლის დებულებათა შესაბამისად.
- 4.7 დამქირავებელი პასუხისმგებელია ყველა ზარალზე, რომელიც მიადგება დამქირავებელს დამქირავებლის ან მისი წარმომადგენლების უმოქმედობის ან წინასწარ განზრახული ქმედების შედეგად.

5. დამქირავებლის უფლება-მოვალეობანი

- 5.1 შენობის სათანადო მდგომარეობის უზრუნველყოფის მიზნით, დამქირავებელს უფლება აქვს შევიდეს დაქირავებულ ტერიტორიაზე სარემონტო ან სხვა საექსპლუატაციო სამუშაოების მიმდინარეობისას დამქირავებელთან წინასწარი შეთანხმებისა და მისგან შესაბამისი ნებართვის მიღების საფუძველზე დამქირავებლის წარმომადგენელთა თანდასწრებით.
- 5.2 დამქირავებელი პასუხისმგებელია ყველა ზარალზე, რომელიც მიადგება დამქირავებელს დამქირავებლის ან მისი წარმომადგენლების უმოქმედობის ან წინასწარ განზრახული ქმედების შედეგად.
- 5.3 დამქირავებელს არა აქვს საპარატურო კარადის გახსნის უფლება.

6. ქირა და გადახდის პირობები

- 6.1 დამქირავებლის მიერ დამქირავებლისთვის გადასახდელი ქირა თვეში შეადგენს 800 (რვაასი) ლარს, დღგ-ს გარეშე;
- 6.2 6.1 პუნქტით გათვალისწინებული ქირა ფიქსირებულია და ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში გადასინჯვას არ ექვემდებარება.
- 6.3 ქირის გადახდა წარმოებს ყოველთვიურად, ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, დამქირავებლის მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემთხვევაში.
- 6.4 გადახდის ვადის ყოველი გადაცილებული დღისათვის დამქირავებელი იხდის საურავს ვალაგადაცილებული თანხის 0.1%-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულების გაუქმება

- 7.1 დამქირავებელს უფლება აქვს დამქირავებლის თანხმობის გარეშე გააუქმოს წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:
 - 7.1.1 თუ დამქირავებელი გახდება გადახდისუუნარო;
 - 7.1.2 თუ დამქირავებელი ვერ შეძლებს ქირის გადახდას სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.
- 7.2 როდესაც ხელშეკრულება უქმდება 7.1 მუხლის პირობების შესაბამისად, დამქირავებელი ამის შესახებ აცნობებს დამქირავებელს ხელშეკრულების გაუქმებამდე ერთი თვით ადრე.
- 7.3 დამქირავებელს შეუძლია გააუქმოს წინამდებარე ხელშეკრულება ნებისმიერ დროს, თუ ეს შეესაბამება მის ინტერესებს და მან ამის შესახებ აცნობა დამქირავებელს გაუქმებამდე სულ მცირე 1 თვით ადრე.
- 7.4 დამქირავებლის გაკოტრებულად გამოცხადების შემთხვევაში დაქირავებული ფართი უბრუნდება დამქირავებელს.

- 7.5 მხარეთა რეორგანიზაცია ან მათი მფლობელობის შეცვლა არ ქმნის წინამდებარე ხელშეკრულების გაუქმების საფუძველს.

8. დასკვნითი დებულებები

- 8.1 მხარეები აცნაზდებიან ეროვნულ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო მიყენებულ ზარალს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 8.2 ეს ხელმოწერილი ხელშეკრულება სრულად ადასტურებს ორივე მხარის კონსენსუსს არანაირი ზეპირი ცვლილება და დამატება არ განიხილება, როგორც ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი.
- 8.3 ამ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე მუხლი გაუქმდება, ეს არ გამოიწვევს სხვა მუხლების მოქმედების შეწყვეტას.
- 8.4 წინამდებარე ხელშეკრულების შინაარსი კონფიდენციალურია, აღნიშნული არ ვრცელდება იმ პირებზე, რომელთა საქმიანობა უშუალოდ უკავშირდება ხელშეკრულების შესრულების პირობებს.
- 8.5 მხარეთა შორის წარმოშობილი უთანხმოებანი წყდება მოლაპარაკების გზით. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში სადაო საკითხი გადაწყდება სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 8.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 პირად, თითო-თითო პირი გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს. ორივე პირს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

9. მხარეთა რეკვიზიტები

გამქირავებელი

ქ. რუსთავი, მარის არხის III დასახ.

000 281 601
L.L. სარქიშვილი

დამქირავებელი

ქ. თბილისი, ადმინ. ოფისი - ჯიქიას №5

ტელ: 32 18 81

ს.ს. "საქართველოს ბანკი"

ა/ა 011467440, კოდი 220101502



გენერალური დირექტორის მოადგილე

გია კომორიძე

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი

15 აპრილი 2008 წ.

სს „რკინაბეტონი“ (შემდგომში-„გამქირავებელი“), წარმომადგენელი მისი დირექტორის ფრიდონ მჭედლიძის სახით, ერთის მხრივ და შპს „მაგთიკომი“, წარმომადგენელი მისი გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის გია კოშორიძის სახით, მეორეს მხრივ, ადასტურებენ რომ:

1. მხარეთა შორის 2008 წლის 18 მარტს გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების 2 პუნქტის თანახმად აპარატურა ექსპლუატაციაში გაიშვა 2008 წლის 15 აპრილს.
2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის იწარმოებს 2008 წლის 15 აპრილიდან.
3. წინამდებარე აქტი შედგენილია 2 პირად, თითო-თითო პირი გადაეცემა მხარეებს და ორივე პირს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.
4. მხარეები

სს „რკინაბეტონი“

შპს „მაგთიკომი“

დირექტორი

გენერალური დირექტორის
პირველი მოადგილე

ფ. მჭედლიძე

გ. კოშორიძე

მზად არის
მცხდრის და



20000.36

[Handwritten signature]

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N110227768



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 14.03.2011 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

დოკუმენტის ასლის დამოწმება

ნოტარიუსი

ნარგიზ მინდიაშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 29


სანოტარო ბიუროს ტელეფონი

95-00-37; 95-78-07

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი 23440500636711



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18



[Handwritten signature]

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა
(2008 წლის 18 მარტს გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ)

ქ. თბილისი

21 ივნისი 2011წ.

ერთის მხრივ, შპს. „მაგთიკომი“ მინდობილობით წარმოდგენილი კახაბერ ენუქიძის (პირადი №01024025242) სახით და მეორეს მხრივ, სს „რკინა-ბეტონი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ფრიდონ მჭედლიძის სახით, შეთანხმდით შემდეგზე:

1. მხარეთა შორის 2008 წლის 18 მარტს გაფორმებულ ქირავნობის ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

- 1) 1.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გამქირავებელი წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ქირით გადასცემს დამქირავებელს ქ. რუსთავეში, მარის არხის III დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 02.07.02.606; შენობა №3) მდებარე შენობის სახურავზე 1 კვმ ფართის GSM სისტემის ანტენების განსათავსებლად და შენობის ეზოში 100 კვმ ფართის საგენერატორო და სააპარატურო შეღებვების განსათავსებლად.

- 2) წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერისთანავე გაუქმდეს ქირავნობის უფლების რეგისტრაცია საკადასტრო კოდეზ № 02.07.02.607 (ნაკვეთის წინა №02.07.02.598) (განცხადების რეგისტრაციის №882011114890).

2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ძირითად ხელშეკრულებასთან ერთად
3. შეთანხმება შედგენილია 3 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე პირად.

შპს „მაგთიკომი“


სს „რკინა-ბეტონი“

წარმომადგენელი

დირექტორი

✓ *კახაბერ ენუქიძე*
კახაბერ ენუქიძე

✓ *01017009279*
ფრიდონ მჭედლიძე
ფრიდონ მჭედლიძე



ქ. რუსთავი

87.01.

2011 წ.

ჩვენ, ერთი მხრივ სს „რკინა-ბეტონი“-ს (შემდგომში „მესაკუთრე“) (საიდენტიფიკაციო კოდი 216315663) წარმოდგენილი მისი დირექტორის ფრიდონ მჭედლიძე-ს სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯეოფერომეტალი“ (შემდგომში „უფლებამოსილი პირი“) (საიდენტიფიკაციო კოდი 216454646) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი გაბრიჭიძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მესაკუთრის კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე სერვიტუტის დადგენა განუსაზღვრელი ვადით იმგვარად, რომ „უფლებამოსილი პირი“ გააჩნდეს უფლება, ისარგებლოს სერვიტუტით დატვირთული მიწის ნაკვეთზე არსებული საავტომობილო გზებით.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში სერვიტუტი მოიცავს უფლებამოსილი პირის მიერ:

- ✓ მესაკუთრის კუთვნილი მიწის ნაკვეთებზე არსებული საავტომობილო გზებით სარგებლობას;
- ✓ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა უფლებამოსილებას.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე სერვიტუტი ვრცელდება მესაკუთრეს კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე არსებულ საავტომობილო გზებზე, მდებარე ქ. რუსთავი, მარის არხის III დასახლება. მიწის ნაკვეთების მახასიათებლებია:

– უძრავი ქონების საკადასტრო კოდი – 02.07.02.608

ზონა – რუსთავი 02, სექტორი – სამრეწველო 07, კვარტალი – 02, ნაკვეთი – 608, ნაკვეთის საკუთრების ტიპი საკუთრება ნაკვეთის ფუნქცია არასასოფლო დაზუსტებული ფართობი – 10253 კვ.მ; სერვიტუტის ფართი 1291.78 კვ.მ.

– უძრავი ქონების საკადასტრო კოდი – 02.07.02.606

ზონა – რუსთავი 02, სექტორი – სამრეწველო 07, კვარტალი – 02, ნაკვეთი – 606, ნაკვეთის საკუთრების ტიპი საკუთრება ნაკვეთის ფუნქცია არასასოფლო დაზუსტებული ფართობი – 57674 კვ.მ; სერვიტუტის ფართი 1412.82 კვ.მ.

სერვიტუტით დასატვირთი ფართის სქემატური ნახაზები თან ერთვის ხელშეკრულებას წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს

1.4. ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარე აცხადებს და ადასტურებს, რომ გააჩნია ყველა საჭირო უფლებამოსილება, რაც უკავშირდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების სათანადო გაფორმებას და შესრულებას.

1.5. „მესაკუთრე“ აცხადებს და ადასტურებს, რომ მიწის ნაკვეთები წარმოადგენს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთს, იგი არ არის დატვირთული რაიმე სახის ვალდებულებით სხვა, მესამე პირების სასარგებლოდ, არ ადევს ყადაღა და მასზე არ ვრცელდება რაიმე სახის სამართლებრივი შეზღუდვა.

II. საზღაური და მხარეთა შორის ანგარიშსწორების პირობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების I მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების საგნის საზღაური ყოველწლიურად განისაზღვრება 1200 ლარით, დღგ-ს გარეშე.

საზღაურის გადახდა იწარმოებს წელიწადში ორჯერ ორ თანაბარ წილად ხელშეკრულების ორმედიან ერთი კვირის განმავლობაში და შემდგომ ყოველი ექვსი თვის განმავლობაში მესაკუთრის აბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით.

III. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა და საჯარო რეგისტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის დღიდან და მოქმედებს უვადოდ.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები სრული მოცულობით და შეუცვლელად გადადის სერვიტუტით დატვირთული მიწის ნაკვეთის "მესაკუთრის" და "უფლებამოსილი პირის" ცვლილების მიუხედავად.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია:

ა) მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით.

ბ) თუ რომელიმე მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს სრულად და ჯეროვნად, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ასეთი დარღვევა გრძელდება სულ ცოტა 2 (ორი) თვეზე მეტ ხანს.

IV. ფორს-მაჟორი

4.1. მხარეთა პასუხისმგებლობას გამორიცხავს ფორს-მაჟორული გარემოებებით გამოწვეული ვალდებულებათა შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება. ფორს-მაჟორულ გარემოებად ითვლება ომი, სტიქიური უბედურება, მეტეოროლოგიური პირობები, ხანძარი, მასობრივი არეულობა, რომელიც ზღუდავს ან აბრკოლებს ვალდებულებათა შესრულებას, აგრეთვე ხელისუფლების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები, რომლებიც ზღუდავს ან აბრკოლებს ვალდებულებათა შესრულებას.

4.2. თუ ფორს-მაჟორულ გარემოებებს აქვთ ღროებითი ხასიათი, მათზე მითითება დაიშვება მხოლოდ იმ პერიოდში, როცა ისინი გავლენას ახდენდნენ მხარეთა ვალდებულებების შესრულებაზე.

4.3. თითოეული მხარე ვალდებულია ფორს-მაჟორული გარემოებების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს.

4.4. მხარეებს უფლება აქვთ, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ურთიერთშეთანხმებით გადასინჯონ ამ ხელშეკრულების პირობები.

V. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადო შესრულების შემთხვევაში მხარეს მიეცემა ვალდებულების სათანადო შესრულების პირობა არუმეტეს 1 (ერთი) კალენდარული თვის ვადით. დამატებითი ვადის უშედეგოდ ამოწურვის შემდეგ მეორე მხარე უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5.2 ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

მხარეები პასუხისმგებლები არიან სრულად აანაზღაურონ მეორე მხარეს ზიანი გამოწვეული მძიმე გარანტიის ან განცხადების ნამდვილობასთან შეუსაბამობის, ან მათ მიერ ხელშეკრულებით ათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით/არაჯეროვანი შესრულებით თუ ასეთს ექნება აღიღი.

5.4 "მესაკუთრეს" მხრიდან "უფლებამოსილი პირის" მიერ თავისი უფლებამოსილებების განხორციელების რაიმე სახით შეზღუდვის შემთხვევაში "მესაკუთრეს" დაეკისრება პირგასამტეხლო "უფლებამოსილი პირისათვის" მიყენებული ზიანის ოდენობით, მათ შორის მიუღებელი შემოსავლის სახით, ანუ უფლებამოსილი პირის მიერ წინა პერიოდზე რეალურად მიღებული შემოსავლების პროპორციულად.

VI. დასკვნითი დებულებანი

6.1. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მოქმედებს და განიმარტება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. მხარეები მიმართავენ მაქსიმალურ ძალისხმევას, წამოჭრილი ნებისმიერი დავის (უთანხმოების) მოლაპარაკებათა გზით გადაჭრის მიზნით, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში დავა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3. ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ცვლილება ან/და დამატება ძალაში შედის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და მხოლოდ წერილობითი ფორმით. წინამდებარე ხელშეკრულება აუქმებს მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგანთან მიღებულ ყველა სახის შეთანხმებას, დამოუკიდებლად მისი ფორმისა.

6.4. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე კვანძებისადაც, ერთი წარედგინება საჯარო რეესტრის ეოვნულ სააგენტოს რეგისტრაციისათვის, ხოლო დანარჩენი რჩება მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები:

ს/ს "რკინა-ბეტონი"

ფრიდონ მჭედლიძე

ს/გ 01017009279

შპს "ჯეოფერო-მეტალი"

გიორგი გაბრიჭიძე

ს/გ 01026003936

ფრიდონ მჭედლიძე

გიორგი გაბრიჭიძე

საქართველოს იუსტიციის სამსახური
საჯარო რეგისტრის ეოვნული სააგენტო
შეამოწმა №079
თარიღი 11.11.2019
საქართველოს იუსტიციის სამსახური

